დამტკიცებულია
შპს სკოლა „ახალი თაობის"
დირექტორის ბრძანებით

შპს სკოლა „ახალი თაობაში"

ბავშვთა უფლებათა დაცვის პოლიტიკა

თბილისი 2025 წ.

მუხლი 1. პოლიტიკის მიზანი

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია უზრუნველყოს სკოლის სივრცეში მოსწავლეთა უფლებების დაცვა, ბულინგისა და ძალადობის პრევენცია, მოსწავლეთა კეთილდღეობის ხელშეწყობა და მათი პიროვნული განვითარებისთვის უსაფრთხო, თანასწორობისა და პატივისცემის გარემოს შექმნა.

ბავშვთა უფლებების დაცვა წარმოადგენს სკოლის განვითარების და პროგრესის საფუძველს. თითოეულ მასწავლებელს, მოსწავლეს და მშობელს ეკისრება პასუხისმგებლობა — ერთად უზრუნველყონ ისეთი გარემოს შექმნა, სადაც ყველა ბავშვი გრძნობს თავს დაცულად, თავისუფლად და ექნება განვითარების შესაძლებლობა.

მუხლი 2. სამართლებრივი ჩარჩო

ბავშვთა უფლებათა პოლიტიკის დოკუმენტი შემუშავებულია საქართველოს კონსტიტუციის, ბავშვთა უფლებათა კონვენციის, საქართველოს კანონის „ბავშვთა უფლებების კოდექსის“, საქართველოს კანონის ზოგადი განათლების შესახებ და სკოლის შინაგანაწესის საფუძველზე

მუხლი 3. ძირითადი პრინციპები

- **თანასწორობა** — სკოლა უარყოფს დისკრიმინაციას ნებისმიერი ნიშნით ;
- **პატივისცემა** — ყველა მოსწავლე სკოლაში გრძნობს, რომ პატივს სცემენ მის პიროვნებას, აზრს და თავისუფლებას;
- **უსაფრთხოება** — სკოლა იღებს ვალდებულებას შექმნას ფიზიკურად და ემოციურად უსაფრთხო გარემო;
- **ჩართულობა** — მოსწავლეები, მათი კანონიერი წარმომადგენლები/მშობლები ჩართული არის იმ გადაწყვეტილების მიღებაში, რომელიც მათ ეხებათ.

მუხლი 4. მოსწავლის ძირითადი უფლებები სკოლაში

- უფლება განათლებაზე;
- უფლება უსაფრთხო და ძალადობისგან თავისუფალ გარემოზე;
- უფლება აზრის თავისუფალ გამოხატვაზე;
- უფლება პირადი ცხოვრების/პერსონალური ინფორმაციის დაცვაზე;
- უფლება თანატოლებთან ურთიერთობასა და თამაშზე (დაწყებით კლასებში);
- უფლება მიიღოს დახმარება (ფსიქოლოგიური, პედაგოგიური, ადმინისტრაციული).
- უფლება ისარგებლოს სკოლის მიერ აღიარებული ყველა უფლებით და თავისუფლებით, აგრეთვე სკოლის ყველა რესურსით;
- სამედიცინო დახმარების მიღების უფლება;
- უფლება საკუთრი უფლებების ცოდნის შესახებ.
- მონაწილეობა ფორმალურ და არაფორმალურ განათლებაში;

მუხლი 5. ინფორმირებულობა

5.1. სკოლა ვალდებულია სასწავლო წლის დაწყებიდან არაუგვიანეს 10 დღისა მოსწავლეებსა და მათ კანონიერ წარმომადგენლებს საინფორმაციო ხასიათის შეხვედრების საშუალებით მიაწოდოს ინფორმაცია მე-7 მუხლით გათვალისწინებული პირების/უწყებების ნომრების, ფუნქციებისა და მნიშვნელობის შესახებ.

5.2 სკოლავალდებულია სასწავლო წლის დაწყებიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში უზრუნველყს მოსწავლეთა უფლებებისა და წესების, ასევე, სკოლის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმის გაცნობა ყველა მოსწავლისათვის საინფორმაციო ხასიათის შეხვედრების ან/და სხვა ღონისძიებების ორგანიზებით.

მუხლი 6. სკოლაში უფლებების დაცვის მექანიზმები და ინსტრუმენტები

6.1. შიდა მექანიზმები:

- ბულინგის პრევენცია;
- ფსიქოლოგის მომსახურება;
- საჩივრისა და განცხადების განხილვის წესის მოქმედება;
- მოსწავლეთა შორის მედიაციის მარეგულირებელი წესის მოქმედება;
- ლექცია/სემინარები/პრეზენტაციები/დებატები და სხვა.

6.2. ინსტრუმენტები

- დამრიგებლის და ფსიქოლოგის მიერ შესაბამისი ქმედებების განხორციელება ბულინგის ამოცნობის, შეფასების და რეაგირების მიზნით, მოსწავლეებისათვის პრეზენტაციების მოწყობა „რა არის ბულინგი“, ბულინგის გავლენა ბავშვის ჯანმრთელობაზე და სხვა ;
- სკოლის ფსიქოლოგის მომსახურება — კონფიდენციალური მხარდაჭერა მოსწავლეებისთვის;
- დამრიგებლის რეგულარული კომუნიკაცია მოსწავლეებთან მათი საჭიროებების გამოვლენის მიზნით;
- სკოლაში მოქმედი მარეგულირებელი ნორმების გაცნობა მოსწავლეებისათვის;
- ლექციები და სემინარები ბავშვთა უფლებებზე ან/და ბავშვთა უფლებების კვირეული (ნახატების გამოფენა, დისკუსიები, ფილმების ჩვენება) ან /და როლური თამაშები და ქეისების ანალიზი ან/და დამხმარე საინფორმაციო მასალები: ფლაერები, ბანერები, ვიზუალური პლაკატები.

მუხლი 7. მოსწავლის მხრიდან რეაგირების ეტაპები .

უფლების დარღვევის /ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ძალადობის შემთხვევაში მოსწავლეს შეუძლია მიმართოს:

სკოლაში:

- კლასის დამრიგებელს ან ფსიქოლოგს;

- სკოლის ადმინისტრაციას (დირექტორის მოადგილეს ან დირექტორს ან უფლებამოსილ პირს);
- გაასაჩივროს მისი უფლებების დარღვევა სკოლაში;

გარე ინსტანციას:

- სახალხო დამცველი — 1481 (24/7);
- ბავშვთა დაცვის ცხელი ხაზი — 111;
- საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი— 112.

ყველა საჩივარზე რეაგირება უნდა განხორციელდეს გონივრულ ვადაში და დაცული უნდა იყოს ბავშვის კონფიდენციალურობა.

მუხლი 8. მონიტორინგი და შეფასება

8.1 პოლიტიკის შესრულების მონიტორინგს ახორციელებს სკოლის დირექცია:

8.2 სკოლის დირექციის მხრიდან ხდება შეფასება — რამდენად ეფექტურად მუშაობს მექანიზმები (შეფასების ინსტრუმენტებია ფოკუსჯგუფი ან/და უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის შეფასება, გამოკითხვა ან/და ინტერვიუ მოსწავლეებთან/მათ მშობლებთან, კანონიერ წარმომადგენლებთან, ან /და დამრიგებლისა და ფსიქოლოგის ანგარიში და სხვა);

მუხლი 9. დასკვნითი დებულებები

9.1 ბავშთა უფლებების დაცვის პოლიტიკის დოკუმენტს ამტკიცებს სკოლის დირექტორი.
9.2 დოკუმენტში ცვლილებების შეტანა ხორციელდება პირველი პუნქტის შესაბამისად.

დანართი

ბავშვთა უფლებების დაცვის პოლიტიკით განსაზღვრული აქტივობების წლიური გეგმა

(I-IV კლასი)

	აქტივობა	**განმახორციელებელი**	**შესრულების სტატუსი**
1			
2			
3			
4			
6			
7			
8			
9			

(V-XII) კლასებისათვის

	აქტივობა	განმახორციელებელი	შესრულების სტატუსი
1			
2			
3			
4			
5			
6			
7			
8			
9			